ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ვლადიმერ ძნელაძის

2020 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საქმეთა კომისიის წევრი, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, დიდუბის რაიონის მაჟორიტარი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 18 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 140 დადგენილება და 406 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 15 სხდომის მუშაობაში.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 14 კომისიის სხდომის მომზადებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახების პრიორიტეტულ ჯგუფებად გათვალისწინება სხვადასხვა პროგრამებში.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო

გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პროექტი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პროექტი.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ პროექტის განხილვა.

განათლებისა და კულტურის კომისიის ფორმატში გაიმართა 11 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 17 საკითხი. მათ შორის:

- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლისთვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200483-03; 17.02.2020).

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელი რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' დადგენილების პროექტის განხილვა.
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
- ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის ანგარიშის განხილვა;

  დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის ადგილზე გაცნობა; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინდორმაციის შესახებ.''

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ 13 სხდომასა და ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 16 სხდომის მუშობაში.

სხდომების ფორმატში განვიხილეთ როგორც საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, ასევე ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული

ვითარებიდან გამომდინარე, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების და კრიზისის დაძლევის ღონისძიებები.

სამაჟორიტარო ბიუროს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია:

მაჟორიტარის და მისი ბიუროს საქმიანობის სფეროები განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვა, სოციალური სფერო, ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი საქმიანობა. ასევე, ნებისმიერ მოქალაქეს, აქვს შესაძლებლობა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, კვირის სამუშაო დღეებში შეხვდეს მაჟორიტარ წევრს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. პრობლემების გადაწყვეტის პროცესი ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე, უწყებების ხელმძღვანელ პირებთან პირადი შეტყობინების თუ წერილობითი მიმართვის საფუძველზე. მიმდინარე წლის მარტის თვიდან მოყოლებული, კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პირადი შეხვედრები იყო შეზღუდული, ხოლო მოქალაქეთა კონსულტაცია და დახმარება ხდებოდა სატელეფონო ზარების მეშვეობით, დისტანციურად. საანგარიშო პერიოდში წერილობით მოგვმართა მხოლოდ 31 მოქალაქემ, ხოლო დისტანციურად, ცხელი ხაზის მეშვეობით დახმარება გავუწიეთ 100-მდე მოქალაქეს.

ჯანდაცვა და სოციალური სფერო

ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით, წარმომადგენლობის მხრიდან, საანგარიშო პერიოდში დაყენებული იქნა 25 შუამდგომლობა, აქედან 15 განცხადება შეეხებოდა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, ხოლო 10 მედიკამენტების და გამოკვლევების დაფინანსებას. სააღდგომოდ ჩვენს სამაჟორიტაროში მცხოვრებ 30 შეჭირვებულ ოჯახს, რომლებიც არ სარგებლობენ უფასო სასადილოების სერვისით, დაურიგდა სააღდგომო ნობათი.

ასევე, პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სასურსათო და საყოფაცხოვრებო ნივთებით მრავალჯერადად გავუწიეთ დახმარება 150-მდე მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახს.

ინფრასტრუქტურული სფერო

ინფრასტრუქტურული საკითხების გადაჭრის უმთავრეს პირობას საბიუჯეტო სახსრების სწორად დაგეგმვა და დაგეგმილი სამუშაოების დროულად და მიზანმიმართულად შესრულება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დიდუბის რაიონის გამგეობაში, ბიუჯეტით განსაზღვრული ყველა პროექტი ხორციელდება მაჟორიტარის წარმომადგენლობის და რაიონის გამგებლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად. ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიმართულებით, წარმომადგენლობის მხრიდან, საანგარიშო პერიოდში დაყენებულ იქნა 6 შუამდგომლობა, ქალაქ თბილისის მერიასა და რაიონულ გამგეობებში, რომელიც შეეხებოდა კომუნალური სისტემის მოწესრიგებას, გზების მოწესრიგებას და სხვა.

სპორტი, ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი საქმიანობა

საფეხბურთო კლუბი "დიდუბე 2014" - დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის და მისი წარმომადგენლობის ინიციატივით არის შექმნილი, რომელშიც 150 ბავშვი ირიცხება. კლუბში მოთამაშე ყველა ბავშვისთვის სწავლება და მომზადება არის უფასო, მათი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან ვარჯიშისთვის აუცილებელი აღჭურვილობით. პანდემიის პირობებშიც გუნდი შეძლებისდაგვარად ახერხებს ვარჯიშს, შეკრებებს და თამაშების ორგანიზებას.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები, რომელიც მიმართული იქნება მოზარდების საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სოციალური აქტივობები

საქველმოქმედო ფონდი „მომავლისთვის" მუდმივად სარგებლობს დიდუბის მაჟორიტარი წევრის და მისი წარმომადგენლობის მხარდაჭერით, დახმარებას ვუწევთ სოციალურად დაუცველ, შეჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს.

ჩვენს რაიონში ფუნქციონირებს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო", რომელიც აერთიანებს სამი სხვადასხვა მიმართულების ბავშვთა ცენტრს:

ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა კრიზისულ სადღეღამისო ცენტრს „ბეღურები“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრს „იმედი“ და სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრს „ცისარტყელა“. ორგანიზაციის ბენეფიციარები არიან შშმ პირები, ქუჩაში მცხოვრები, შეჭირვებული და სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ თანადგომას სახელმწიფო სექტორიდან.